№ 7 იანვარი 11, კვირა 1887 იანვარი 11, კვირა № 7

ტფილისი

ივერია

გაზეთი ღირს			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

ქართული თეატრი

დღეს, 11 იანვარს,

ბ-ნ კ. მესხის ბენეფისი,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

ვაი ჭკუისაგან

კომედია 4 მოქმედებად გრიბოედოვისა.

მოთამაშენნი: ქქ. საფ.-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა, მელიქოვისა; ბბ. კ. მესხი, აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 10 იანვარი

ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა,—საცა უნდა იყოს,—თუ გულ-მხურვალეობით არის გამთბარი, გულ-მოდგინეობით წარმართული, ერთგულობით ძირ-მაგარი და პატიოსნებით ნათელ-ცხებული,—უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა. იქნება ზოგიერთებს ეხამუშოს, ზოგიერთს ეუცხოვოს ეს ჩვენი აზრი და სიტყვა შემოგვიბრუნოს: „დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თვითონ მოსაქმის დიდ-ბუნებოვანობისაო.“ ეს მართალია, თუ საქმე ქმნილია. თუ არ არის ქმნილი და მარტო ამაო თავ-მოწონებით და ცუდ-მედიდობით ხელ-წატანებულია, მაშინ საქმე დიდია, თუ პატარა სულ ერთია: იგი ხელის წამტანებელის ქარაფშუტობას უფრო გვისაბუთებს და დაგვიმტკიცებს, ვიდრე დიდ-ბუნებოვანობასა. მაშასადამე ამ შემთხვევაში ძალა ქმნასა ჰქონია და არა მარტო ხელის წატანებასა და ფოტინსა. არა-ქმნა ყოველ დიდს საქმეს ამცირებს და ქმნა კი პატარასაც დიდად ჰხდის. ესეც მართალია, რომ ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა დიდი საქმეა, რომელიც თავის-თავად ჰხმაურობს, ქარ-ბუქს აყენებს და ყველას თვალ-წინ უდგა მთელის თავის სიდიდითა. ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ქდარუნები არა აქვთ და არა ჰხმაურობენ, მაგრამ მით არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთის-სოფლის [illegible] სიმწვავის გასანელებლად. ამისთანა საქმეა, მაგალითად, მართლ-მსაჯულება. იგი არ დაიარება ქვეყანაზედ ბუკითა და ნაღარითა. მისთა მსახურთა მზად-მზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიდობის ქარი ჰქონდეს კაცთა თვალისათვის. როგორც თვითონ მართლ-მსაჯულება, ისეც მისნი მსახურნი, მშვიდობიანად, უბუკ-ნაღაროდ აქმობენ თავის საქმესა და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს და პატიოსნებას ადამიანისას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ესე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს და ჩვენ მასზედ-კი არა ვლაპარაკობთ, რაც არის, არამედ მასზედ, რაც უნდა იყოს.

ნუ თუ ამ არა-მყვირალა საქმეში კაცი ჩაბმული და პატიოსნად მოღვაწე არ შეიძლება დიდ-ბუნებოვანი იყოს, მარტო იმიტომ-რომ თვითონ საქმე, მყვირალა არ არის, ჩუმია და ხმა-ამოუღებელი? ნუ თუ თვითონ საქმე, ურომლისოდაც მთელი ქვეყნიერობა ერთს არეულს და ერთმანერთის მჭამელს მხეცთა გროვას წარმოადგენდა, ნუ თუ,—ვამბობთ,—თვითონ ეგ საქმე დიდი არ არის, მარტო იმიტომ-რომ ბუკითა და ნაღარით არ იჩენს თავსა!... საქმე დიდია და დიდი არის იგიც, ვინც გულ-თბილად, კაცთ-მოყვარეობით, პატიოსნად და სწორის სასწორით ხელში ემსახურა და ჰმსახურობს.

ერთი ამისთანა მსახური მართლ-მსაჯულებისა არის თ. იასე ადამის-ძე ანდრონიკაშვილი, რომელსაც 23-ს თებერვალს 1887 წლისას უსრულდება ორმოც-და ათი წელიწადი მას აქედ, რაც სახელმწიფო სამსახურშია და ორმოც-და-ერთი წელიწადი მას აქედ, რაც ჰმსაჯულობს ჩვენში. მაშასადამე იგი ყოფილა მსაჯულად იმისთანა ხანებშიაც, როცა ახალი წესები შემოღებულნი არ იყვნენ და ძველნი კი, სამართლიანად ათვალწუნებულნი, მსაჯულს სახსარს აძლევდა ყოველივე ცუდ-კაცობა ჩაედინა და სამართლის სასწორი ისე ებრუნდებინა, როგორც გუნებაში გაუვლიდა. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა ყოფა მართლ-მსაჯულებისა მიზეზს აძლევდა კაცს ათას ნაირი მართალი და ტყუილი ბრალი შეეწამათ მამინდელ მსაჯულთათვის. მაგრამ თ. იასე ანდრონიკაშვილმა დღეს აქამომდე ისე პატიოსნად და მართლად ატარა თავისი სახელი, რომ არც ერთხელ თვითონ ცილმაც კი ვერ შეჰბედა ცილის-წამება; არც ერთხელ ყოველთა სიწმინდის შემბღალველი ბოროტებაც კი ავ-გულის კაცისა იმოდენად ვერ გაკადნიერდა, რომ მცირეოდენი ჩრდილი მაინც მიეყენებინა მის კეთილ-სინიდისიანობისა და პატიოსნებისათვის. მეტად წმინდა და შუქ-სხმული პატიოსნება უნდა იყოს, რომ ამოდენა ხნის განმავლობაში ყოველის გამბედავი ცილი და ბოროტება ადამიანისა ვერ ჰბედავდეს მოსცხოს რამ და ენა ჩავარდნილი და გაბათილებული მის წინაშე პირქვე დაემხოს!...

მარტო ამ მხრით არ არის ცნობილი ჩვენში თ. იასე ანდრონიკაშვილი. მისი მიუდგომელი პირუთვნელი სიმართლე, მისი გულ-მოდგინება საქმისა, დაუღალავი შრომა, მისი საქმეში სულით და გულით ჩახედვა, მისი გულ-შემატკივარობა, კაცთ-მოყვარეობა, სითბო და სიტკბო — ყველამ იცის, ყველას ენაზედ აკერია. საცა მართალია, იქ თ. იასე ანდრონიკაშვილისათვის სხვა არ არის-რა მართლის მეტი: არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არც თხოვნა-ვედრება არა სჭრის-რა, ერთხელ მის მიერ აღიარებულ მართლის მეტი. არა ერთხელ და ორჯელ ჩვენის ყურით გაგვიგონია: მადლობა ღმერთს, დღეს თ. იასე ანდრონიკაშვილი იქნება ჩემის საქმის მსაჯულადა სხვათა-შორის და იმედია, მართალს მოსარჩლე ეყოლება და სამართლის სასწორს მფარველი განაჩენის დადგენის დროსაო. ვინც იცის რა დიდი განძი უნდა ზნეობისა, რომ კაცმა საზოგადოდ და მსაჯულმა საკუთრივ ამისთანა ნდობა მოიპოვოს, ის ჩვენ [illegible] მოგვკითხავს ქებასა და დიდებასა თ. ანდრონიკაშვილისას, როგორც სასიქადულო კაცისას და ყოვლად პატიოსან მსაჯულისას.

ფელეტონი

წერილი კუდიანეთიდამ

საკვირაო სხარტულა

ბოდიში დაგვიანებისათვის.—ყური ნაზი არ არის და ახირებულს ამბებსაც გაიგონებს.—ახალ-წლის მოლოდინი კუდიანეთში და საახალწლო ნატვრა.—ჩემი ნატვრა ქართლელთა, კახელთა, იმერელთა და მეგრელთათვის.—ახალი და ძველი წელიწადი ჩემს ოთახში შეიყარნენ და საუბრობენ.—როკაპის გამოცხადება.—ძველის წლის წლიური ანგარიში.—გურჯეთიდამ მობრძანებულ სულთა აღსარება.—ძველის ადვოკატის აღსარება და მისი ჯილდო.—გულ-ფართო და ზუტრიბთ მოყვარე მსაჯული.—ას ენოვანის აღსარება და კუჭ-მეტყველება.—ას ენოვანი [illegible] მიდის.—ქალ-ბიჭა „ბარიშნა“, მისი მებადურობა და ვაჟ-თევზის დაჭერა.—სასჯელი „ბარიშნას“.—ჩემის მეგობრის წერილი აღნიაშვილის ხოროს შესახებ.

თუმცა-ღა კუდიანეთში გახლავართ, მაგრამ იმერული ზრდილობა მაინც არ დამვიწყებია და სწორედ ამის გამო მემართება ხოლმე, რომ ყოველი ფელეტონი ბოდიშის გვარის შესავალით უნდა დავიწყო. მომიტევე, მკითხველო, თუ დღეს ყურის სატკბური ვერა მოგწერო-რა. ღმერთმან იცოდეს, რომ ახალ-წელიწადს ველოდი, იმისი იმედი მქონდა, მას შევხაროდი—მეგონა უფრო სასიამოვნო ამბებს მოგვიტანდა ჩვენ, კუდიანეთში მცხოვრებთ ახალი წელიწადი და ამ დროისათვის ვინახავდი ჩემს წერილებს, მაგრამ რა გაეწყობა! იმედი გამიცრუვდა. არაფერი სანუგეშო არა არის-რა ამ ჩვენს არე-მარეში და რაც არის, იმას დასჯერდით ჯერ-ჯერობით. უსიამოვნო ამბავიც შეიძლება გაიგონოს ყურმა. ბევრი ამბობს, ვითომ ყურის აპკი მეტის მეტად ნაზი არისო, მაგრამ მე ეგ არა მჯერა. მართალია, იგი ვერ აიტანს დანის წვერით ფხაჭნას, სადგისით ჩხვლეტას და ბურღით ხურტნას, მაგრამ სიტყვა, როგორიც გინდა ესროლო, სულ ერთია: არც მწარე აწყენს, არც ტკბილი იამება, არც მწვავე დასწვავს. ეგ უთუოდ იმისათვის არის, რომ ყურისა და გულ-გონების შორის კედელი აღმართულა და გზებიც გაფუჭებულა გრძნობა-გონების შორის. ამის გამო ნათქვამი, თუ ნაბეჭდი სიტყვა თავის ალაგს ვერას დროს ვერ მიაღწევს ხოლმე.

ყურის ასეთმა თვისებამ გამაბედვინა და ამ ახალის-წლის პირველს კვირას ასეთი ახირებული წერილი მომაწერინა ქვემო ქვეყნის მკითხველებისადმი.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კუდიანეთის ქვეყანა მეშვიდე ცაზე გახლავთ; იგი წარმოადგენს უსამზღვრო და უნაპირო სარკეს, რომელშიაც თქვენის ქვეყნის მცხოვრებთა სულნი აქტიორების სახით დასეირნობენ. თქვენებურ ხალხთა, თემთა და საზოგადოებათა ზნე და ჩვეულება, ავი და კარგი ცხადად შესამჩნევი და სანახავია. აქ მე ჯერ აქაური ახალ-წელიწადი არ მენახა და ათასი ფრთა მესხმებოდა სიხარულისაგან, თუმცა ღა ვიცოდი, რომ ოთხშაბათ საღამოდამ ხუთშაბათს დილამდე ქვეყანა არ შეიცვლებოდა, ვიცოდი, რომ მგელი თხას ვერ შეურიგდებოდა, შავი არ გათეთრდებოდა, უგუნური გონს ვერ მოვიდოდა, ბოროტი არ გაკეთილდებოდა, ორ-პირი და ორ-გული ვერ გაერთ-პირდებოდა და გაერთ-გულდებოდა, მგელი ცხვრად არ იქცეოდა, ქალების კუდები არ დამოკლდებოდა, ბევრი, ბევრი რამ სხვა არ იქმნებოდა, მაგრამ მაინც ვინატრე ბევრი კარგი რამ, გადია ჩემისა არ იყოს, როგორც ჩვენის კუდიანეთისათვის, აგრეთვე თქვენის ქვეყნისათვის. ვისურვე ჩვენის არე-მარის მცხოვრებთათვის მოქრისტიანება და მორჯულება, თქვენის ქვეყნისათვის, სხვათა-შორის, თავად-აზნაურთა ბანკების ზანდუკების ასიგნებით ავსება, სკოლების გაფართოება და მოსწავლეთა გონების წარმატება: ქართლელთათვის სიფხიზლე და სიფაქიზე, კახელთათვის თავიანთ ზვრებში მუშაობა და სურვილი, რომ სხვებს არ ჩაუგდონ ხელში, იმერელთათვის სისწორე და გულ-ახდილობა, მეგრელთათვის კი ახალი რამ: მათთვის ვისურვე, რომ ამ ორი-სამის წლის განმავლობაში მეგრულს ენაზე გადმოღებულ იყვნენ მილისა, სპენსერის, შექსპირის და პოპის თხზულებანი; დავბეჭდოსთ, რასაკვირველია, თავის დროზე აშორდიას ასოებით მონტესკიო, რუსსო, ვოლტერი და ფლობერი, ტენი და გიზო, დანტე და მაკიაველი, შელინგი და ჰეგელი, ფიხტე და შოპენჰაუერი, კანტი და კონტი, და ყველა ამაებზე ხელ-მოწერილი ყოფილიყოს ბ-ნი აშორდია და მისი მარქაფები. ვინ მოსთვლის, რაებს არ ვნატრობდი ოცნებით გართული. ხომ მოგეხსენებათ, რომ ოცნებასა და ნატვრას საზღვარი არა აქვს.

ამ ოცნებაში მიმძინებოდა. შუაღამე მოახლოვებულიყო. რაღაცამ კარს მოურაკუნა და „კარი გამიღე“ დაიძახა. მე გავიღვიძე, მაგრამ პასუხის გაცემა ვიღაცა სხვამ მომასწრო: «რა მოგაქვს», შესძახა ჩახლეჩილის ხმით. „შენ რა დამახვედრე, ჩემგან რომ თხოულობო“, მოაძახა უცხო სტუმარმა. მე გავცვიფრდი, ზე წამოვდექ, ფოთინი დავიწყე, კარებს მივადექ და ვერც შინა მოპასუხე ვნახე, ვერც გარედამ მომავალი. ისევ მივწექი, მაგრამ მრისხანე ხმამ გამომაღვიძა. მე ახალი-წელი ვარ, შენ ძველი, ადექი, გამეცალე, წავიდა შენობა, დადგა ჩემობაო. მაშინ მივხვდი, რომ ორივე სტუმარი—წელიწადიც და მასპინძელიც ხელ-მოუკიდებელი და თვალ-მოუკრავი რამ არსებანი იყვნენ კაცისათვის, მაგრამ ამ დროს მობრძანდა ჩვენის კუდიანეთის მეფეთ-მეფე—როკაპი, გახსნა თავისი ვეშაპის პირი და დაიღრიალა: „ვერ მოგართვით, ასე ადვილად ვერც ძველი წელიწადი წაბრძანდება და ვერც ახალი მობრძანდება: ძველმა თავისის მოქმედების ანგარიში უნდა ჩამაბაროს და ახალმა მომავალის ცხოვრების გეგმა და სარისტა წარმოადგინოსო.“

შენს მტერს, იმათ რომ დაემართათ. ორივეს ენა პირში ჩაუცვივდათ, ორივე დაფრთხნენ, ძველს ახალ-ისა რცხვენოდა, რომ თვისი სიგლახე თითონვე ეთქვა და ახალს არც გეგმა ჰქონდა და არც სარისტა. გაშტერდნენ ორივენი.

— ჰა, სთქვით, თორემ ორივეს ქვაზე ტვინს დაგასხმევინებთო, წამოიძახა როკაპმა. მაშინ ძველმა მოახსენა: მე ვერას მოგახსენებ და ვისაც მე ერთი წლის სიცოცხლე მოვაკელი, იმათგან რაოდენსამე პირს წამოვაყენებ თქვენს წინაშე, რა ქვეყნიდამაც გნებავსთ და აღსარება თქვენვე ათქმევინეთ, მოწყალეო ბატონო. ჩემთვის, მოგეხსენებათ, თქვენის ქვეყნიდამ მოსულ სულთა აღსარება საინტერესოა და გული მითრთოდა, ვაი თუ სხვა ქვეყნებიდამ მოსულთ მოსთხოვონ აღსარება და არა ჩვენებს-მეთქი, მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოდ, ჩემს თვალ-წინ წარმოსდგნენ მრავალ ნაცნობ პირთა სულნი, რომელთა დანახვამ ყოველი ჩვენის ქვეყნის ავი-და-კარგი მომაგონა.

სახელმწიფო სამსახურში მყოფსა, არც საზოგადოების სამსახური დაჰზარებია ოდესმე თ. იასე ანდრონიკაშვილს. ათი წელიწადი ემსახურა ჩვენის ბანკის საქმესა უანგაროდ, უსასყიდლოდ იმავე სიყვარულით, გულ-მხურვალეობით და გულ-მოდგინეობით, როგორც ცნობილია ყველგან და ყველასაგან. არც ერთი სამადლო საქმე არა კეთდება ჩვენში, რომ იქ თ. იასე ანდრონიკაშვილის წვლილი და ხელი არ ერიოს. ამისათვის არა ხარჯს, არა გარჯას და შემწეობას არ მოჰრიდებია თვისდა სასახელოდ და უმწეთა სასიხარულოდ. ასეთია იგი კაცი, რომელსაც უპირებენ დღე ორმოც-დაათის წლის მოღვაწეობისა პატივის-ცემით გადუხადონ. უფროსს თავ-მჯდომარეს სასამართლოს პალატისას ბ-ნ განჩაროვს, აქაურ გაზეთების სიტყვით, განუზრახავს, სასამართლოს მოხელეთა ერთობ პატივი აგონ დღეს თ. იასე ანდრონიკაშვილის ორმოც-და-ათის წლის შეუმწიკვლელ სამსახურისას და მით დაუმტკიცონ თვისი პირუთვნელი, გულითადი პატივისცემა კაცს, რომელიც ყოვლად ღირსეული წარმომადგენელია მართლ-მსაჯულებისა კავკასიაში.

თუ მარტო სასამართლოს მოხელეთათვის არ არის ეს განზრახვა, რასაკვირველია, მრავალნი სხვანიც მოიწადინებენ მონაწილეობა მიიღონ და ამ გზით გამოუცხადონ თავისი გულითადი პატივისცემა და სიყვარული კაცს, რომლის მოღვაწეობა ესოდენ ყველასათვის სამაგალითოა. თუ არა და სასურველია, რომ ტფილისის საზოგადოებამ, ყველამ საერთოდ, პატივი სცეს ამ დღეს თ. ანდრონიკაშვილს თავის მხრითაც და ამით დაამტკიცოს, რომ კაი კაცობას, კეთილ-სინიდისიანობას და პატიოსნებას, დიდსა თუ პატარა საქმეში, ჩვენშიაც პატივი და დიდება აქვს და ექნება. ძნელად შეხვდება კაცი, რომ პატივისცემა და სიყვარული საზოგადოებისა ისე მართლად და უტყუარად შეეწონოს ჭეშმარიტს ღირსებასა, როგორც ამ შემთხვევაში. ნუ ვიქნებით უმადურნი და ყველას თავისი მივუწყოთ ხოლმე. ხალისი ამითი მხნეობს და მხნეობა ამით ჰხალისობს.

ლხინი

დამისხით ღვინო, თუმცა უმისოთაც
მთვრალი ვარ პირად-ბედნიერებით
და ნეტარებას მიმრავალ-კეცებს
მიდამო მისის მშვენიერებით!
—
ვიშ, ამ საღამოს,
მშვიდსა, საამოს,
ტკბილ-ნეტარებით შეზავებულსა!..
რა უცნაურად,
მაღლით ციურად,
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,
—
რომ საიდუმლო,
სასიქადულო,
კაცსაც ბუნების შეატყობინოს,
და სადაც ჭკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს!
—
აჰა, ვგრძნობ მეცა,
რომ არის ზეცა,
აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით,
და ეს ქვეყანა
ყოვლგნით ყველგანა
თავს უხრის შემქმნელს მადლით საგრძნობით.
—
დახეთ ამ მთვარეს,
სხივ-მომფინარეს,
თითქოს ტკბილ-სევდით ივსებსო გულსა!
მოკაშკაშენი,
მოჭიკჭიკენი
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.
—
ძალთა დიდება,
შექმნათა ქება
არს საიდუმლო მათი სიმღერა;
ქვეყნით ბუნება
ბანს ეუბნება
და ეს ბანია ქებათა-ქება.
—
ყვავილთა ენა
არს სუნნელთ ფქვენა,
საგალობელად აღმა-გმული,
წყალთა ჩქრიალი,
ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი, რაღაც გრძნეული
—
ბუნების მაყრულს,
საქორწინოდ სრულს,
ეკაშირება, ზე ემატება,
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!

რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა,
ეს საიდუმლო ციური ძალა,
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევა-მოსილად გარდაიცვალა?
—
შენ, სიყვარულო! ცისა და მიწის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთს წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად განვაცვალო!..
—
შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ
ცილს გწამებს;
და შენ მაგიერ შენის სახელით
ის აღიარებს პირუტყვულ-წამებს!!
—
შენ, ვისაც მხოლოდ იმავ თავიდან
გამოიწვევდა ჩემი ნაღარა
და ვისაც დღესაც შეურცხვენლად
წინ წარუდგება ჩემი ჭაღარა!!
—
შენ და მხოლოდ შენ! ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა,
შენგან მგოსანი ფრთებ-შესხმული ვარ
და მონავარდე აღმა ფრენითა.
—
არ გამცუდდა ხომ მოლოდინი,
გავიხელმწიფე დღეს სიყვარული
და გაბრმედილი ნათელ-სპეტაკად
საკურთხევლად დამედგმის გული.
—
დღემდი ტანჯულმა ჩემმა არსებამ
აწ გაახაროს, დე, ინეტაროს;
ჩალად მიაჩნდეს მთელი სოფელი,
გინდ იავდაროს, გინდა იდაროს.

აკაკი

ახალი ამბავი

*** ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას აქვს თავის კანცელარიასთან საწყობი სხვა-და-სხვა ქართულის წიგნების გასასყიდად. სულ ამ გვარ წიგნების სახელ-წოდებათა რიცხვი 40-ზე მეტია. მათ შორის ურევია ისეთი საუკეთესო და ძვირფასი წიგნებიც, როგორიც არის „ქილილა და მანა“, „ვისრამიანი“ და ბევრი კიდევ სხვა წიგნები. საზოგადოებას განუზრახავს ამ წიგნების გასასყიდად იშოვოს ერთი კაცი, დაუნიშნოს მცირეოდენი ჯამაგირი და დაავალოს, რომ იაროს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, მომეტებულად იმ სოფლებში, სადაც დღეობა და ჯვარობა იცის, ან დიდი ბაზრობა, და ჰყიდოს ზემოხსენებული წიგნები.

*** 6 იანვრიდამ ტფილისის სასულიერო სასწავლებელთან დაარსდა პანსიონი ობოლთა ღარიბ მღვდლის შვილებისათვის.

*** მთავრობას განუზრახავს, რომ საინგილოში, სოფელ კაკში, დააწესოს ბაზრობა ყოველ კვირა-დღეობით.

*** გორიდამ გვწერენ, რომ ჩვენს ბედნიერს ქალაქში ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ტყუილი მოწმობა სასამართლოებში. ბევრია აქ იმისთანა, რომელიც მუდამ სასამართლოს კარწინა სდგას და თავის ხელობად გაუხდია გაჰყვეს ან იმასა და ან იმას და სასამართლოს წინ უმოწმოს, რა საქმეშიაც უნდაო.

*** საინგილოდამ გვწერენ, რომ საინგილოს ბლაღოჩინი მღვდ. უთიაშვილი ამ ჟამად ტფილისში გადმოუყვანიათ ნავთლუღის მღვდლად და იმის მაგიერ საინგილოს ბლაღოჩინად დაუნიშნავთ გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფი მღვდელი სვიმონ ლიაძე.

*** სამეგრელოდამ გვწერენ, რომ სოფელ ხორგაში შარშან დაარსეს ორ-კლასიანი სასწავლებელიო. სკოლაში ამ ჟამად ასამდე შეგირდი ითვლება. ყოველ-წლობით საზოგადოებამ იტვირთა 600 მანათის გადახდა სკოლის შესანახად. თვით სკოლისათვის სოფელმა ააშენა ძალიან კარგი სახლი, რომელიც დაუჯდა 2,500 მანათად.

ხორგელები 800 კომლამდე ითვლებიან. აქაურებს სახნავ-სათესი მინდვრები კარგები აქვთ. უფრო სიმინდის თესვას მისდევენო.

ხორგელების მაგალითით ორიოდე სხვა საზოგადოებამაც განიზრახა სკოლის დაარსება. ვისურვებთ, რომ ხორგელების მაგალითისათვის ბევრს სხვა საზოგადოებათაც მიებაძნოთო.

*** თელავიდამ გვწერენ, რომ 1884 წელს ქ. თელავში დაარსდა საზოგადო წიგნთა-საკითხავი. ამ საქმემ წინად დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. ჯერ წესდება არ დამტკიცებულიყო, რომ სამკითხველოს 30-მდე წევრი ჰყავდა და ასამდე სხვა-და-სხვა

მაგრამ ამან-კი გამაკვირვა, რომ ხორცი მანდ დაუგდიათ და სულები აქ გამოუგზავნიათ. აქ კი კუდიანეთში სული უხორცოთ გასძლებს, მაგრამ მანდ უსულოდ ხორცი როგორ გასძლებს, სწორედ საკვირველია. ამ ამბავზე აქ კუდიანებმა ყურები აცქვიტეს და უსათუოდ გამომძიებელს გამოგზავნის ჩვენი ბატონი როკაპი.

— შენ ვინა ხარ, სულო დაღრეკილო და დაღრეჯილო, შესძახა როკაპმა.

— მე გახლავარ სული ერთის ყოველად პატიოსანის მომქმედის პირისა. ჩემი ხორცი გურჯისტანში ჯარასავით ტრიალებს. მე ვისწავლე მაღალს სასწავლებელში, მერმე მოვედი ჩემს სამშობლოში, სრულიად მზა ჩემის ქვეყნის სასამსახუროდ. ჯერ კიდე სასწავლებელში ვიყავი და მომჩივან მოპასუხე თვალით არ მენახა, მაგრამ თვით პირველი ადვოკატი ვერა მჯობდა მომჩივან-მოპასუხისა და მოწმეების გამოკითხვაში. თვით ჩემს ოთახში მქონდა სამსჯავრო გაწყობილი: ავიღებდი ორს მუთაქას, ერთი მომჩივანი იყო, მეორე მოპასუხე, სკამები—მოწმენი, ჭრაქი—თავს-მჯდომარე, საწერელი—პირველი წევრი, საქვიშე—მეორე და ზარა პროკურორი, მე თითონ-კი—დამცველი და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი. საჩივარს მე თითონ გამოვიგონებდი. ხან-და-ხან ასეთი საჩივარი იქმნებოდა ხოლმე. პირველი მუთაქა უჩიოდა მეორეს, ვითომ ერთიდამ მეორეზე ოც-და-ხუთი ბალინჯო გადალოლებულიყოს. ავტეხდი ამის დასამტკიცებლად სხვა-და-სხვა ლაპარაკს. დავეკითხებოდი დასამტკიცებელად მოწმეებს, ისინი ვითომ ჩემ სასარგებლოდ არ იტყოდნენ, მაშინ ქრთამს შევაძლევინებდი მუთაქებს, ანა და საქმეს გადავადებინებდი შემდეგისათვის, რომ მოწმეების გული მეშოვნა. თავ-მჯდომარეს სხვა და სხვა საშუალებით ვითომ ჩემსკენ მივიბირებდი და ამის ნიშნად ჩავუბერავდი სულს და დავაქრობდი ჭრაქს, ვითომ გამარჯვება სწორედ ეს იყო ჩემთვის. ოჰ, მაშინ რა ცოტა მყოფნიდა! ამას ვსჯერდებოდი, უგუნური ბაშვი ვიყავი.

აქ როკაპმა სილა გაარტყა: გიცუღლუტნია, ქურდობა გიქნია და ხბოსთვისაო!?

— ბატონო, ნუ მიწყრებით, ბოლოს ნახავ, რა კაციც გამოვდექი.

ასე დამზადებული გიახელ საადვოკატო ასპარეზზე. გაიგო ხალხმა ჩემი სიმარჯვე, დამეხვია და როგორ, როგორ დამეხვია? ისე, როგორც ბუზი თაფლსა, მაგრამ ისე მოვახერხე თქვენის წყალობით, რომ თაფლი ბუზსა სჯობდა და არა ბუზი თაფლსა. არც ეს მოგწონს, ბატონო? როკაპმა მადლობის ნიშნად შუბლზე აკოცა.

ყოველი დიდი და პატარა საქმე ჩემს ხელში გაივლიდა, განაგრძო როკაპისაგან გამხიარულებულმა სულმა, ბატი რომ ვისმეს დაჰკარგოდა, იმაზედაც აპელაციასა და კასაციასა ვსწერდი. ფული ბევრი ვიშოვე. ერთი გროში არ დამიხარჯავს სხვისათვის. სულ ყველა ჩემის საჭიროებისათვის შევინახე და ვხმარობ კიდეც. ბევრმა თხოვნების წერამ, სამსჯავროში სიტყვების წარმოთქმამ, პროკურორების მკაცრმა სიტყვებმა ისე დამისუსტეს ძარღვები, ისე შემირყიეს ტვინი, რომ ახლა არაფერის საქმისათვის აღარ ვარგივარ, გარდა იმისა, რომ ჩემს კუჭს მოვუფრთხილდე, მას ვემსახურო, მისი პატივის-მცემელი ვიყო, რასაც იგი მოითხოვს, ის აღვასრულო. წინედ თითქო თავი იყო ჩემი ბატონი, ახლა თავის მაგიერობა კუჭმა დაიჭირა ჩემს სხეულში: მე მისი მონა შევიქენი. აღარ ვარგივარ არც ნათესავს, არც მეზობელს, არც ერს და არც საზოგადოებას; სულ ყველაფერს გულ-ცივად ვუცქერი და ხან-და-ხან ღმერთსაც ვგმობ ხოლმე: ვიტყვი, ღმერთო, რად გამაჩინე და თუ გამაჩინე, ასე რად გამაწვალე. ახლა, როცა კარგს გუნებაზე მომიყვანს სამკურნალო წყლები, ათის მცნების პირველს სტრიქონს ასე ვასრულებ: ყოველთვის გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა.

— შენ უნდა პირველი ადგილი დაგაჭერინო ჯოჯოხეთში. სიტყვითა და ჭკუით მაცდურობა ყველა მაცდურობაზე დიდი ხელოვნებაა. იმა ამ სულს ასეთი წყალობა. მანდ ამის ხორცმა რა იგრძნო, ეგ თქვენმა გაზეთებმა შეგვატყობინონ. თუ თქვენმა გაზეთებმა ვერ მოაღწიოს დროზე, ცისკარის „ნიშადური“ მოსცხეთ. ახლა წარმოსდგა წინაშე როკაპისა მეორე ნომერი.

— შენ ვინა ხარ, ჰკითხა როკაპმა.

— მე მალე წამოვედი ქვემო-ქვეყნიდამ და არც კი მახსოვს, ვინა ვარ, ვარ ის, ის რომ ჰქვია, ლიტერატორი... არა, არა, ადვოკატი... არა, არა, არა, მასწავლებელი... არა, არც მასწავლებელი, ჩინოვნიკი, მგონია არც ჩინოვნიკი.

— მაშ ვილა ხარ, შესძახა გაჯავრებულმა როკაპმა.

— არ ვიცი, თქვენმა მადლმა, ვინა და რა ვარ. გურჯისტანელი ვარ, მაგრამ საქმე და ხელობა რა არის ჩემი, სწორედ არ ვიცი. აზრი კი მაქვს შედგენილი მრავალს საგანზე. მაგალითად, ახლა ხომ ყოველს ქვეყანაში და განსაკუთრებით გურჯისტანში ენაზეა ლაპარაკი, მე ენის შესახებ ასეთი შეხედულება მაქვს: ენა მეტის-მეტად რბილი საგანია, მას შეუძლია მოიქნას, შეუძლია ლაპარაკი ინგლისურად, ფრანგულად, ლათინურად, რუსულად, ბერძნულად, ქართულად და მეგრულადაც, თუ აშორდიას ასოებით იქმნა დაწერილი. ერთის სიტყვით, მას შეუძლია ყოველ-გვარად ლაპარაკი, მაგრამ ამასთანავე მას შეუძლია შეგნებული მეტყველება დაივიწყოს და შეუგნებელი ისწავლოს. მაგრამ მე იმ ენის მომხრე ვარ, რომელიც კუჭის სარქველზე არის გადაბმული, მე იმ ენის მოთაყვანე ვიყავი და ვარ, რომელიც კუჭს ემსახურება, რომელიც კუჭთან არის მორიგებული. ეგ ჩემის გამოცდილებით ვიცი, სხვისი მაგალითი საჭირო არ არის. თუ ჩემი კუჭი, ანუ უფრო მდაბიოთ რომ ვსთქვათ, მუცელი კარგს ქეიფზეა, ენაც კარგს გუნებაზეა, როცა მუცელი დამიტკბება და დამიამდება, ენაც ტკბილი მოუბარი გამიხდება: ვოხუნჯობ, ვხუმრობ, ვიცინი, ვკისკისებ, ვკასკასებ, ვხითხითებ, ერთის სიტყვით ყოველ-გვარი სიცილი მიმორბის ჩემს ტუჩ-კბილზე. ამიბორგდება თუ არა მუცელი, შენს მტერს სახე შესცვლია, მე ენა გამომეცვალოს ხოლმე, აღარც ოხუნჯობა, აღარც ტკბილი სიტყვები—პირ-იქით, ჩემი ენა ასპიტის კბილად იქცევა ხოლმე, მორიელის კუდივით იკლაკნება, გველის წიწილივით სარსალებს პირში და უნდა ვისმეს შხამი შეასხას სისხლში. ეგეთი ჩემი ფილოსოფოსობა, ბატონო, დიდ-მნიშვნელოვანი გახლავს ჩვენს ქვეყანაში და უთუოდ ასედაც უნდა მომხდარიყო. ბევრმა დაიმარხა ეს ჩემი მცნება გულში და ისე ასრულებს, როგორც მე. ვინც ჩემს მუცელს მოწყალის თვალით მიხედავს, მის სასიამოვნოდ მივმართავ ამ ჩემს პირში აღმოცენებულს პრტყელს სამწვადე ხორცს. მე რომ თქვენთან გახლავარ, თუ თქვენ მოწყალების თვალით გადმომხედავთ, თქვენებურად, კუდიანურად დავიწყებ ლაპარაკს „იფიაფათი“. ან რას დავიდარაბობენ! როცა მუცელი ღავღავს დაიწყებს ხოლმე, მაშინ ყველას ენა ერთ-ნაირად წითელია, მაშასადამე, ერთი და იგივეა?!.

— შენ ჩემთანა გნიშნავ, ჩემის განსაკუთრებულ მინდობილების მოხელეთ და ხელ-ჯოხიანად (ЧИНОВНИКЪ особыхъ порученій). მე სწორედ შენისთანა კაცი მინდა, რომელიც არც ჩლავეა და არც ფლავი. ჩემს სამე-

წიგნი ჰქონდა. მაგრამ დიდხანს არ გასტანა სეთმა ყოფამ. ერთის წლის შემდეგ კვლა წევრნი მიიფანტ-მოიფანტნენ, საწევრო ფული (3 მან.) თითქმის ალარავინ არ შემოიტანა და სამკითხველო დარჩა ობლად. მხოლოდ წლს დაუბრუნდა ბედი სამკითხველოს. ამ დაწესებულების სასარგებლოდ წელს სცენის მოყვარეთ გამართს წარმოდგენა. ფული საკმაოდ შმოვიდა. სულ შემოსავალი იყო 145 მან., დაიხარჯა 33 მან., დარჩა ნაღდი 112 მან. ამ ფულით გამოწერილ-იქმნა ზოგიერთი ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები. დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, თუ ქალნი და თუ კაცნი, ვინც შრომა მიიღო და დაეხმარა წარმოდგენის გამართვას.

⁂ ტრამვაის პატრონს დიდ-უბეში ბ-ნს ლორთქიფანიძეს კიდევ უთხოვნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, ნება მომეცით ცხენის რკინის გზა გავიყვანო ჩემს ტრამვაიამდე ხეხილის ბაღზეო. ამისათვის შევწირავ საზოგადოებას 1,500 მან. და ზაფხულში კიდევ საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობას გავმართავო, მაგრამ საზოგადოებას მაინც არ შეუწყნარებია ლორთქიფანიძის თხოვნა.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შეუდგენია მოსალოდნელ შემოსავალ-გასავლის სია ამ 1887 წლისათვის. შემოსავალს საზოგადოება მოელის სულ 10,578 მან., ხარჯი კი ექმნება მხოლოდ 8,705 მან.

⁂ ტფილისის სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა განუზრახავთ, რომ თავიანთი წიგნთ-საცავნი ერთად შეუერთონ და ერთი საზოგადო ბიბლიოთეკა იქონიონ, საცა ყველას შეეძლოს წიგნების კითხვაო. ამ საზოგადოების ბიბლიოთეკის მოთავსებას ჰფიქრობენ სამეურნეო საზოგადოების ქვემო სართულშიო, ამბობს გაზ. «კავკაზი».

⁂ იმავე გაზეთს სწერენ სიღნაღიდამ, რომ აქეთკენ ძალიან გაძლიერდა თამბაქოს თესვაო. სოფელ ვეჯინის მამულში კარგი თუთუნი მოჰყავთო. აქ შარშან თითქმის 180 დღიური მიწა იყო დათესილი თამბაქოთი. სულ 20 ათას ფუთამდე თამბაქო მოვიდა შარშან აქაო. სამწუხაროდ, თამბაქოს თესვა და მოყვანა ძვირად დაუჯდა შარშან აქაურებსა და, ვინ იცის, იქნება ისიც ვერ აიღონ თუთუნის გასყიდვით, რაც ხარჯი მოუვიდათო.

⁂ 9 იანვარს, 1 ნაწილში, ოლგის ქუჩაზე იპოვნეს ყმაწვილი ესე ერთის თვის დაბადებულიო. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

⁂ 9 იანვარს, მე-3 ნაწილში, ტფილისის მოქალაქეს სალდაგაროვს თავი უნდოდა მოეკლა და ამისათვის წყალში გაელესა ეშმაკის ქვა და დალია. სალდაგაროვი გაგზავნილ იქმნა საავად-მყოფოში მოსარჩენად. გამოძიება სწარმოებს.

ლამაკვირდი!

კაცთა ყვედრებას, თუ მახვილიცა ხრმალი იყოს, კაცი მიჯნური ფარად ღვიძლსა მიუპყრობს.
(ვისრამიანი)

**

გული ცოტას დააჯერე,
რაცა მოგცეს ღმერთმან მდევრად,
სულის თვალი დაითვხვე
სიხარბისა გზათა მდევრად.
(მეფე ვახტანგ VI)

**

თავს ასეთზედ ნუ იხარებ
[illegible],
ასეთს ნუ რას მოიგაჭრებ,
რომ დაზიანდეო.
(დავ. გურამიშვილი)

**

მართლა თქმულა: არა მართებს
ყვავსა ვარდი, კირსა რქანი.
(რუსთაველი)

**

თვით ჯაბანს კაცსა გამხნობს
კარგის კაცისა სარდლობა.
(არჩილ მეფე)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„არა არს შეწყნარებულ წინასწარ-მეტყველი სამშობლოსა შინა თვისსაო“,—დღეს სწორედ ბისმარკზე უნდა ითქვას ესა. ბისმარკს, რომელსაც მთელი ევროპა უსმენს, ბისმარკს, რომელიც მთელ ევროპის სვე-ბედს ხელში ატრიალებს, ამ ბისმარკს ვერა გაუწყვია-რა თავის სამშობლოში. ვერც ამის სახელმა, ვერც ამის მჭევრ-მეტყველობამ ვერ მოინადირა რეიხსტაგის წევრნი, ვერ დაიყოლია, ვერ დაათანხმა, სამხედრო კანონი დაემტკიცებინა პარლამენტს. რა ღონის-ძიება არ იხმარა ბისმარკმა: თვით გამოჩენილს ჩ ემ სარდალს მოლტკესაც კი ხმა ამოაღებინა, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. „თუ რეიხსტაგი უარჰყოფს სამხედრო კანონ-პროექტსა, ომი აუცილებლად მოხდებაო“, ამბობდა მოლტკე პარლამენტში, მაგრამ ამის წინასწარ-მეტყველობა გაცრუვდა.

> ამ სახითა,—ამბობს გაზეთი „Новости“, ვერ გასჭრა ვერც გრაფ მოლტკეს „მხედრულმა სიტყვამ“, ვერც ბისმარკის მჭევრ-მეტყველობამ. მოლტკეს ზარ დამცემი წინასწარ-მეტყველობა ტყუილი გამოდგა. ბისმარკისვითომ მშვიდობიანობის მომასწავებითი სიტყვამ მხოლოდ საბუთი მისცა რეიხსტაგს, რომ სამხედრო კანონ-პროექტზე უარი ეთქვა: თუ ბისმარკის სიტყვას დავუჯერებთ, მაშ საშიში არა ყოფილა რაო. კანცლერი გვარწმუნებს, რომ გერმანიას მეგობრული განწყობილება აქვს რუსეთსა და ავსტრიასთანა, და საფრანგეთთანაც მშვიდობიანობის დარღვევა არა ჰსურსო. თუ საქმე ასეა, მაშ ხარჯის მომატება ჯარების გასაძლიერებლად სრულიად მეტი იქნება და ტყუილ-უბრალოდ მძიმე ტვირთად დება ხალხსაო.

ბისმარკს ასე გაუცრუვდა იმედი, თუმცა უკან არ დაიწია. ბისმარკმა, როგორც ვიცით, პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევანი დანიშნა.

ვნახოთ თვით ერი რას ეტყვის ბისმარკსა?..

⁂

გაზეთ «Русскій Курьеръ»-ის ფელეტონისტი ახალ-წლის ნომერში სხვათა შორის ნატრულობს:

> ღმერთმა თავიდამ გვაშოროს ინგლისელების „გულ-ახდილობა“, ავსტრიის „გულ-წრფელობა“, გერმანიის „მეგობრობა და სიყვარული“ და ბატტენბერგის „ერთგულობა“.

კარგი იქნებოდა, ღმერთმანი! სულ რომ არაფერი იყოს, გაზეთებს ხომ ამდენი თავ-საცემი აღარ ექნებოდათ!.,

⁂

პეტერბურგში ჩვეულებადა აქვთ მიღებული სხვა-და-სხვა წვრილმან მსახურთ ახალ-წელიწადის მილოცვა. გაზეთს «Осколки»-ს ერთი მაგალითი მოჰყავს, რომელიც კარგად გვიხატავს, თუ რა ახირებულნი ყოფილან ეს „მიმლოცველები“.

> სახლის ყარაულები მიდიან ერთს მოხელესთან ახალ-წლის მისალოცავად, და კარებში დაჰხვდებათ მწუხარე სახით გაწეწილი მსახური-ქალი.
>
> — წადით, წადით! თქვენთვის არავის სცალიან... წუხელის ბატონი გარდაიცვალა, ეუბნება მსახური.
>
> — როგორ თუ გადაიცვალა! რაო! როგორ შეიძლება გარდაცვლა ახალ-წელიწადს, როდესაც ჩვენ მოსალოცავად მოვდივართ! სრულიად არ მოველოდით, თუ იმისთანა კარგი „ბატონი“ ასეთ ცუდს საქმეს ჩაიდენდა, თავს ასე შეირცხვენდა, მჭევრ-მეტყველობდნენ თურმე «მიმლოცველები».

განა ეს «მიმლოცავები» უცნაური ფილოსოფოსები არ არიან? დიახ, ბატონებო, ყველას თავის ფილოსოფია აქვს! მაგალითად, სახლის ყარაულს არა სჯერა, რომ კაცი შეიძლება ახალ-წლის დამესაც მოკვდეს...

რუსეთი

— ამ წლის 1-ლ იანვრიდამ უმაღლესის ბრძანების ძალით ფინანსთა მინისტრად დაინიშნა ი. ა. ვიშნეგრადსკი. ბ-ნი ვიშნეგრადსკი ძრიელ ნიჭიერი, განათლებული, მხნე და შრომის მოყვარე კაცია. სტუდენტობის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტს გაუგზავნია ბატონი ვიშნეგრადსკი ამერიკაში პრაქტიკულის მეხანიკის შესასწავლად. ამერიკიდამ დაბრუნების შემდეგ იმაზე უკეთესი მეხანიკის მცოდნე მთელს რუსეთში არავინა ყოფილა. ამ დროს ვიშნეგრადსკის დაუწყვია ლექციების კითხვა უნივერსიტეტში და არტილერიის აკადემიაში. თავისი ცოდნა მოუხმარებია საარტილერიო და რკინის გზის საქმეებისათვის. აგრეთვე ბ-ნ ვიშნეგრადსკის ბევრი უშრომია ტეხნოლოგიურ ინსტიტუტისათვისაც, რომლის დირექტორადაც ყოფილა ამ ცოტა ხნის წინად. ბ-ნს ვიშნეგრადსკის არა ჰყოლია არც მფარველი და არც შემწე, მაგრამ თავის ნიჭიერებით და ცოდნით მიუქცევია უმაღლესის მთავრობის ყურადღება და ამიტომ უფრო მეტის სიამოვნებით გვაუწყებენ რუსული გაზეთები ამ გვარის კაცის მინისტრად დანიშვნის ამბავსა.

— საერო განათლების მინისტრს შეუტანია სახელმწიფო რჩევაში ახალი პრო-

ფოში შენისთანა კუჭის მეტყველისათვის ალაგი არ არის, წერილს მიგიწერ ქვესკნელში მეფე ტარტაროზთან და საგზალი ჩემის საკუჭნაოდამ მოიკითხე, მხოლოდ იქაური ენა ისწავლე და რაც ჩემ საბძანებელის სადიდებელი ამბავი გაიგონო, მაშინვე მაცნობე და თუ შენს შიკრიკს სიფიცხე აკლია, კიდევ „ცისკრის“ ნიშადური მოსცხე.

— შენ ვინლა ხარო, შესძახა მესამე ნომერს როკაპმა.

— მე კარგად ვიცი, ვინცა ვარ, მაგრამ მეზარება ჩემის ვინაობის თქმა. ვსცხოვრებდი კოლხიდაში და მეტად გულ-ფართო კაცი ვიყავი. მიყვარდა ყოველი კაცი, ყოველნი თესლნი და ტომნი, განსაკუთრებით ქალნი მგოსანნი სამეფოისა მის სახლისანი. სწორედ ამიტომ მეძნელებოდა ჩემის სამშობლოს მოცილება, მაგრამ უეცარმა სუსხმა დაუბერა და აი, აქ—კუდიანეთში გადმომაგდო. იქ მართლ-მსაჯულების სასწორი მეჭირა ხელში და როცა უსამართლობა სამართალს დასძლევდა, მაშინვე სასწორის ჯამზე კენჭებს დავუდებდი აბრად და სასწორის ულელი გასწორდებოდა; ბოლოს დროს ძლიერ შემიყვარდა კენჭები და კენჭოსნებიც, მაგრამ უდროვო დროს მოვეშორდი სამშობლოს და ყველაფერი დამიშამათდა. მითხრეს, რომ ვინც სულს აქ არ ამოქმედებს, სული როკაპთან გაისტუმროსო და ხორცი აქ დააგდოსო და მეც ისე მოვიქეცი. ეხლა თქვენ ხელთაა ჩემი საბელი ყელისა.

— შენც ჩვენი ყოფილხარ, რადგანაც, ყველანი ერთ ნაირად გვყვარებია. ეგ რომ ჩვენებურად ითქვას, ვითომც და ყველანი ერთ ნაირად გძულებია. ბარაქალა, შენ ნუგბარად შესანახავი ყოფილხარ: ამას იქით ქალის კაბის კუდზე უნდა იჯდე და ჯოჯოხეთის ადუღებულის კუპრის ტბაში დასცურავდე, ვითარცა ჩემი მეტბევე.

— შენ რაღა სიკეთე მიგიძღვის ჩემის მეგობრის ევის ნაშენო, წამოიძახა როკაპმა.

ჩვენ წინ წარმოსდგა ერთი ახალგაზდა ქალის სული. მან მოწიწებით მოახსენა:

— მე გახლავარ გურჯის ქალი. გურჯეთში „ვბარიშნობდი“, ძლიერ მიყვარდა ეგ სახელი. იქ ერთი აუზი იყო, რომელშიაც თევზების მაგიერად ახალგაზდა გურჯები დასეირნობდენ. ძლიერ მსურდა მათზე ნადირობა, მოვქსოვე ფიქრისა და ოცნების ძაფებით ბადე, გამოვედი სანადიროდ. მივჯექ აუზის კიდეზე და ლოდინი დავუწყე მათ, მაგრამ ეგ გონიერი თევზნი ყურეებში მიიმალნენ. მერმე საკენკის სროლა დავიწყე აუზში, ბევრმა გაუნავარდა საკენკს, მაგრამ ფრთხილად, ბადეს არც ერთი არ მოხვდა. ბოლოს ისეთი ტკბილი საკენკი ვსტყორცნე აუზის შადრევანს, რომ მოთმინებისაგან გამოსული ერთი მშვენიერი ახალგაზდა თევზი ჩემის ბადის ნაოჭში გაება. ამოვიყვანე და უბეში ჩავისვი. მომავრდნენ ნაცნობი «ბარიშნები» და „პადრუგები“ და მთხოვეს, კუდი მაინც გვითავაზე, როცა მოამზადო საჭმელადო, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მე იგი საჭმელად არ მინდოდა: უნდა შემელოცა, ცხენად მექცია, შევმჯდარიყავ და აქედ-იქით მეჭენებინა.

— შენ უნდა აღგეკრძალოს რომანების კითხვა და ნაცვლად უნდა იკითხო ასე: ორშაბათს კონტის ფილოსოფია, აშორდინის ნათარგმნი, სამშაბათს მზა-მეტყველება ანტონ კათალიკოზისა, ოთხშაბათს ფიხტეს ფილოსოფია, ხუთშაბათს კანტის თეორია, პარასკევს ზაქარია ჭიჭინაძის თხზულებანი, შაბათს გეჯელი და კვირა საღამოს «ცისკრის» ლაბორატორიაში იმუშაო, რომ ნიშადურ იქაფურად აქციო და შაბიამანი კვიპაროსად.

ეგ კარგი გიქნია, რომ შეგიცდენია, მაგრამ შენთვის კი არა, ჩემთვის უნდა გამოგეგზავნა ცხენად. მერე როკაპმა ხელით თვალები მოიხრდილა და შესძახა უშველებელს გროხილს ადამიანთა სულებისას, რომელნიც ერთმანეთზე გადაბმულიყვნენ, როგორც ძერა-დიდობაში და ბოლო აღარ უჩანდათ:

— ბარაქალა გურჯისტანს! ვერა ხედავ, რამდენი ხალხი შეგვძინა! ბარაქალა! მაგრამ ახლა მოვისვენებ და განკითხვა თქვენი შემდეგ იქმნება.

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბატონს როკაპს, გაუმარჯოს! შესძახეს და დაიშალნენ.

ამ დროს ერთმა ნაცნობის სულმა მომიტანა პაწია წერილი. გავხსენი და მეტის მეტი კარგი ამბავი წავიკითხე: ძმაო ს., ერთი სასიხარულო ამბავი უნდა მოგწერო ჩვენის ქვეყნიდამ: გუშინ-წინ ჩვენს ქუთაისში ჩამოვიდა შენი ნაცნობი, ბატონი ალნიაშვილი, ჩამოიყვანა მგალობელთ გუნდი, რომელიც ბატონს რატილს გაუწრთვნია. მშვენიერად იგალობეს ზოგიერთი სიმღერები. სამჯერ გამართა კონცერტი. პირველად უფრო ბევრი ხალხი დაესწრო, მეორედ ნაკლები და მესამედ საკმაოდ. ყოველთვის საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. მშვენიერად იგალობეს „მუმლი მუხასაო“, „ურმული“, „ცრემლი“ და „ჩუხჩუხით“; ნაკლი ის იყო მათი, რომ იმერულის სიმღერების კილო და სიმკვირცხლე ვერ დაუცავს ბ-ნს რატილს. აქ საჩუქრები მიიღო საზოგადოებისაგან ბ-ნმა რატილმა და ბ-ნმა ალნიაშვილმა. დიაღაც ღირსნი იყვნენ. ჩვენში გალობა დაცემულია, თითონ იცი. ყმაწვილ-კაცები რომ შეიყრებიან სალხინოდ, გულითა და სულითა ჰსურსთ მოლხენა, მაგრამ რომ არ იციან, მუნჯებივით არიან სუფრაზე... შემდეგ აღარ იქნება ასე, თუ ხოროები გაიმართა და განვითარდა. ხომ იცი, რა შეძლების კაცია ალნიაშვილი. იგი ერთი ღარიბი მასწავლებელია, ხუთი თუმანი ეძლევა თვეში და იქიდამ იმოდენი გადუნარჩუნებია, რომ გალობის მასწავლებელი უშოვია, მოსწავლენი მოუწვევია და საქმისათვის თავი მოუბამს. რომ ასე თავიანად მოქმედებდნენ ისინი, ვისაც ხელთა აქვთ გავლენა, სიმდიდრე და მოცალეობა, განა ცოტა რამ გაკეთდებოდა ჩვენში!!. ამასთანავე დიდის, ძლიერ დიდის თანაგრძნობის და მადლობის ღირსია ჩვენის საზოგადოებისაგან ბ-ნი რატილი, რომელმაც არ დაიზარა თითქმის მივიწყებულ სიმღერათა გადმოღება ნოტებზე და საშვილი შვილოდ დაგვიტოვა ქაღალდზე გადაღებული. ამბობენ, გორშიაც წავიდაო და იქაურებმა უფრო დიდის აღტაცებით მიიღეს და სიტყვიერის მადლობით და ნივთიერის ჯილდოთი გაისტუმრეს ტფილისშიო. ღმერთმა წარუმართოს ხელი ბ-ნ ალნიაშვილის კეთილს განზრახვას და მის მომხრე ბ-ნს რატილს.

შენ როგორც ჩემს მეგობარს, ჩუმადა გწერ: ეს ამბავი როკაპს არ შეატყობინო, თორემ ერთი-ორიოდე კაცი მოაკლდება ჯოჯოხეთს და გეწყენს.

ამ წერილის კითხვის დროს როკაპმა შემატყო, რომ ცოტათი ფერი მეცვალა და მკითხა, რამ დაგალონაო.

— ბატონო, ეს ამოდენა ღარიბი ხალხი რომ მოგვაწყდა, ვინ შეინახავს?

— მართლა და განა იქ მდიდრები კი არ არიან? ყველა ქვეყნიდამ თითქმის მარტო მდიდრები მოდიან ჩვენს საფარველს ქვეშ და თქვენს ქვეყანას რა ბედი გასწყრომია!

— ვინც იყვნენ, ხომ აქ ამოვიდნენ და ერთი ორიოდე მდიდარი კიდევ მოიძებნება და ისინიც სად წავლენ, ხომ აქ უნდა ამოვიდნენ, მაგრამ ისინიც ბევრს ვერას შეჰმატებენ ჩვენს საბრძანებელს.

როკაპმა გაიქნია თავი, ერთი ჰმ! სთქვა, მეც მეორე ჰმ! ვუთხარი, და თავ თავისთვის წავედით.

ახალ-წლის ამბებს თუ მკითხავთ, უნდა გითხრათ, რომ საქაოში დროს გარჩევა არა აქვს: აქ დრო ან სულ ძველია, გაუახლებლად, ან ახალი, დაუძველებლად, და ამიტომ ნურას უკაცრავოდ

საფამფსოფონიფი

კუდიანეთი
7881 ტარტაროზობას

ქტი რეალურ სასწავლებლების წესდების შეცვლისა. პროექტის ძალით, რეალურ სასწავლებლების მაგიერ უნდა დაარსდეს კერძო მრეწველობის სასწავლებლები. ეხლანდელი შვიდ-კლასიანი რეალური სასწავლებელი, უნდა გადაკეთდეს ხუთ-კლასიანებათ და შეგირდებს უნდა ჰქონდეთ უფლება უმაღლესს სასწავლებელში შესვლისა.

— ოდესის ბანკებს მიუღიათ ოსმალეთიდამ შესანიშნავი ამბავი. მთელს ოსმალეთში ძრიელ ემტერებიან რუსის ქაღალდის ფულსაო. მთავრობა უკრძალავს რუსულ ქაღალდის ფულის ხმარებას მოვაჭრეთა შორის და აგრეთვე ბანკებში, იმიტომ-რომ რუსის ფული ძრიელ გავრცელებულა ოსმალეთში და თითქმის იქაურის ფულის ადგილს იჭერსო.

— ამ ახლო ხანში ბ-მა ი. ს. ტობლოვსკიმ უნდა გამოსცეს რუსული თარგმანი ნაპოლეონის კანონთა კრებისაო. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექმნებაო, ამბობენ ჩვენი იურისტები.

— პოლშაში, დაბა შკუდახში (კოვნის გუბერნიაში), მკვიდრთა ჯარში გაყვანის დროს, ერთს ებრაელს ქვრივს ქალს რაუზა შაფს გადაუსხამს თავისთვის ნავთი, ჩაუყრია ბუხარში ჩალა, შემძვრალა შიგ და წაუკიდებია ცეცხლი. რამდენისამე საათის შემდეგ უპოვნიათ მკვდარი ქალი. ამბობენ, რომ ქალს იმიტომ მოუკლავს თავი, რომ შეშინებია 300 მ. ნ. ჯარიმისა, რომლისათვისაც აუწერიათ იმისი მამული. ეს ჯარიმა იმიტომ დააწერეს თურმე ამ ქალს, რომ ამ ქალის ვაჟიშვილს მოერს გასვლა არ მოუნდომებია და დაჰმალვია მთავრობასაო.

უცხოეთი

ბოლგარია. პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“: ამას წინად დიდნი სახელმწიფონი ხელახლად დაეკითხნენ რუსეთს, ვინ გინდათ დაასახელოთ თქვენის მხრივ ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატადაო. რუსეთმა ის პასუხი მისცა, რომ მე ისევ ჩემს აზრს ვადგევარ და ჩემის მხრივ სამეგრელოს თავადი ნიკოლოოზი მყავს უკვე დასახელებულიო. ამის გამო ის გავრცელებული ამბავი, ვითომ რუსეთს განზრახვა აქვს ახლა სხვა კანდიდატი დაასახელოს ბოლგარიის სამთავრო ტახტისაო, ყოვლსავე ჭეშმარიტებას მოკლებული ამბავია. რუსეთი მხოლოდ მაშინ დაანებებს თავს თავის ეხლანდელს კანდიდატს, როცა ახალი დიდი საერო კრება, მთავრის ამოსარჩევად მოწვეული, უარჰყოფს სამეგრელოს თავადის ნიკოლოოზის კანდიდატობასაო. ეხლანდელნი მმართველნი ბოლგარიისანი უეჭველად უნდა გადადგნენ სამსახურიდგან და ითხოვნა, რომ სამსახურს თავს ვანებებთო, დიდს საერო კრებას უნდა მიართვანო. ასე, რომ დღეის შემდეგ დიდს საერო კრებაზეა დამოკიდებული მთავრის ამორჩევის საქმე, მხოლოდ დიდ საერო კრებას შეუძლიან ამოირჩიოს ის კანდიდატი ბოლგარიის მთავრად, რომელიც დიდთა სახელმწიფოთა სურთ. თუ, ვინიცობაა, დიდი საერო კრება არც ერთს ეხლა დასახელებულ კანდიდატს არ მოიწონებს მთავრად, ამ შემთხვევაში დროებით ახალი სარეგენტო მთავრობა უნდა ამოირჩიოს, სანამ დიდნი სახელმწიფონი ახალს კანდიდატს გამოსძებნიდნენ ბოლგარიისათვის.

— „Standard“-ის კორრესპონდენტი სწერს ამ გაზეთს, რომ გადბან-ფაშის მოადგილედ სოფიაში ოსმალეთის მთავრობა ადრიანოპოლის უმთავრესის შტაბის უფროსს შაქირ-ფაშასა ჰნიშნავსო.

— ამავე გაზეთის ფილიპოპოლის კორრესპონდენტი სწერს: ამას წინად აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ცანკოვის გაზეთი „ერის ხმა“ დაიხურა და ამ ბოლოს დროს ისევ გამოვიდა, ხოლო რედაქტორად ცანკოვის მაგიერად, ბ-ნი მანჩევია. ეს მანჩევი გზაზედ შეხვდა ახალად გამოყვანილ ჯარის-კაცებს და დაუყვირა: ბოლგარიაში არც მთავარია, არც მთავრობა, გატყუებენ, ის გერჩივნათ შინ დარჩომილიყავით, ჯარში გამოსვლასაო. ამის გამო პოლიციის უფროსმა ადგილობრივს სასამართლოში დაიბარა ბ-ნი მანჩევი. მანჩევი არ წავიდა, და როცა ჟანდარმები მოვიდნენ მის დასაპატიმრებლად, რევოლვერის სროლა დაუწყო და ერთი ჟანდარმთაგანი დასჭრა. მანჩევი დაუპატიმრებიათ.

— კაირში ძალიან ემზადებიან თურმე პრინც ალექსანდრე ბატტენბერგის დასახვედრად, რომელიც კაირზე გზად გაივლისო. ბატტენბერგისათვის დაუმზადებიათ კასსრ-ნუშას სასახლე.

— სოფიის გაზეთ „ტრაპეზიცას“ სიტყვით, ამას წინად ცანკოვსა და ოსმალეთის დიდს ვეზირს დიდი ბაასი ჰქონიათ. ცანკოვი თავის თავს ოსმალეთის ქვეშევრდომადა სთვლის და ამიტომ უკითხავს ოსმალეთის დიდის ვეზირისათვის, რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე შემდეგშიო. ცანკოვის დასის მომხრეები ამბობენ თურმე, რომ ოსმალეთს განზრახვა აქვს, ცანკოვი რუმელიის გენერალ-გუბერნატორად დაჰნიშნოსო.

გასართობი

ხამი სიტყვა. ერთი მოხუცებული, სამსახურიდამ გამოსული აფიცერი ჰცდილობდა როგორმე პენსია მიეღო. ეს იყო საფრანგეთში ლუდოვიკ IV-ის მეფობის დროს. აქედ მიაწყდა საწყალი, იქით მიაწყდა და ვერსად-რა გახდა. თავი მოაბეზრა ლუდოვიკის სამხედრო მინისტრს ლუვუას თხოვნითა და ვედრებითა, მაგრამ მაინც ბედის კარი ვერ გაეღო. ბოლოს როცა მინისტრისაგან გადაწყვეტილი უარი მიიღო, მოახსენა მინისტრს:

— ერთს უკანასკნელს წყალობას კიდევ გაგიბედავთ გთხოვოთ.

— მართლა უკანასკნელი-კი იქმნებაო? ჰკითხა მინისტრმა.

— პატიოსანს სიტყვას მოგახსენებთ.

— მაშ, კარგი, მითხარით.

— გამაბედნიერეთ და შემთხვევა მიბოძეთ თვითონ ხელმწიფე ვნახო.

— ბატონი ხარ, თუ კი ამით მოგრჩები. მარტო ერთს პირობას-კი ჩამოგართმევ: სამის სიტყვის მეტი არ მოახსენო და არ შეაწუხო.

ლუვუამ თავისის მხრით დაპირება აასრულა და აფიცერიც თავის აღთქმას არ გადავიდა. აფიცერს მოემზადებინა ბრძანების წერილი ხელმწიფის სახელითა პენსიის დანიშვნის შესახებ და როცა მინისტრმა წარუდგინა ლუდოვიკს, აფიცერმა მოახსენა:

— ხელმწიფეო, მომიწერეთ ხელი.

* * *

რკინის პერანგი დიდის ნაპოლეონისა. დიდმა ნაპოლეონმა, აქაო და სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, რკინის პერანგი შეუკვეთა ერთს გამოჩენილს ოსტატსა საფრანგეთში, რომ ტანისამოსის ქვეშ ეცმოდა. ოსტატმა გაუკეთა, მოართვა და 18,000 ფრანკი სთხოვა გასაკეთებელი.

— ერთი-ორად მოგცემ მაგ ფულსა, თუ თვითონ შენს თავზედ მაცდევინებ მაგ პერანგის სიმაგრესა... ჩაიცვი ეხლავ და დამიდექი წინ...

ნაპოლეონმა ჩამოიღო კედლიდამ ორი დამბაჩა ტყვიით გატენილი, ხუთს ნაბიჯზედ დაუდგა ოსტატს და ხმა ამოუღებლივ ერთი დამბაჩა შიგ გულში დაახალა. მერე მიაბრუნა, პირი იქით აქმნევინა და ერთი დამბაჩაც ზურგში დასცა. ორ გზითვე გაპტყელებული ტყვია ასხლტა და ძირს იატაკზედ დაეცა. ეს წამება ოსტატისა არ იკმარა. თოფი გამოსტაცა იქ ყარაულად მდგომარეს ჯარის-კაცსა, ოც-და-ათი ნაბიჯი გადასთვალა და ახლა იქიდან დასცა თოფი შიშისაგან გაფითრებულს და გულწასულს ოსტატსა. პერანგმა აქაც გაუძლო ტყვიასა. მაშინ ნაპოლეონმა მადლობა უთხრა ოსტატს და უბრძანა 36,000 ფრანკი მიეცათ ხაზინიდამ.

დეპეშა

10 იანვარს

ბერლინი. გაზეთების აზრით, შესაძლოა ლონის-ძიება იყოს მიღებული, რომ ცხენები სამზღვარ გარეთ არ გაიყვანონ. „ჩრდილო-გერმანიის საზოგადო გაზეთი“ ამბობს, რომ საფრანგეთი განაპირებულ დეპარტამენტებში სადგურებს ამზადებსო და აქედამ ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საფრანგეთი დიდ-ძალ ჯარებს აგროვებს გერმანიის სამზღვარზედ.

რომი. სტამბოლიდამ მიღებული ამბები საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ ბოლგარიის საქმე მშვიდობიანად გადასწყდებაო.

ბოლგარიის დეპუტატები რამდენსამე დღეს კიდევ დარჩებიან აქ.

სტამბოლი. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას გულ-წრფელად სურს სამსახურიდგან გადადგეს, თუ რომ გულის დამამშვიდებელს სიტყვას მიიღებს ბოლგარიის ტახტის კანდიდატის შესახებ, შესაძლოდ მიჩნეულია, რომ ბოლგარიაში შესდგება შერეული სამინისტრო, რომლის წევრად ცანკოვიც იქნება. შემდეგ საერო კრება დაიშლება და ახალი არჩევნები დაინიშნება.

ბერლინი. იმპერატორმა მოისმინა „დიდებულთა“ პალატის ადრესი და სთქვა: აუცილებლად საჭიროა ჯარების მომატება, რომ შიშმა იკლოს.

პარიჟი. პარლამენტის საბიუჯეტო კომისიამ უარ-ჰყო ფინანსთა მინისტრის შეცვლილი პროექტი ბიუჯეტისა, რომლის ძალითაც განზრახული იყო 383 მილლიონი სამუდამოდ გამოეცათ ობლიგაციები და 66 წლის განმავლობაში დაეხსნათ და გაებათილებინათ.

პარლამენტის წრეებში ხმა დადის, რომ კომისიის ასეთი გადაწყვეტილება სამინისტრო კრიზისს გამოიწვევსო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

11 დღე კვირა. მიხაილისა და ფეოდოსიასი. კათოლ. ჰიგინ და გონორატისა. სომეხ. მე-6 დღე წყალ-კურთხევიდგან. სალამოთი ნახატონაჰი. მუსულ. მე-30 რიცხვი თვისა რებ-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვალება ქართლის მეფისა ირაკლისა, 1798 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 5—3. მთვარე არ ამოვა; 29 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. მოწ. ტატიანისა და მარტინიასი. კათოლ. არკადიასი და ლუკრეციასი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—20, ჩადის 5—5. დაბადება მთვარისა ტფილისში 6 საათსა და 5 წუთ.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი. . . .	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემა მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისაკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

პეტერბურგის ბირჟა, 10-ს იანვარს 1887 წ.

ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	[illegible]
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 81 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	171½ მან.
5% პირველის მინაურის სესხის მოგები ბილეთი	—	—	238 მან.
— მეორისა	—	—	228 მან.
გირავნობის ფურცლები:			
ტფილისის ბანკისა	—	—	97¼
ქუთაისის ბანკისა	—	—	97¼

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან

ინსტინქტი (ალლო) დარვინის თეორიის შეხედულობით, თარგმანი რომანოზ ფანცხავას-მიერ, ფასი 15 კაპ.

ლოთი კაცის სიკვდილი, მოთხ. ჩარლზ დიკენსისა, თარ. ივ. ხოტეველისა. ფასი 5 კაპ.

გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა

მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულსასულიერო გაზეთს

„მწყემსზედ“

და „მწყემსი“-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საეკლესიო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნება; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

«მწყემსი» რუსული დამატებით მომავალი წლიდამ გამოვა სურათებით. ქართული გამოცემა გამოვა სამჯერ თთვეში და რუსული ორჯელ.

ფასი გამოცემისა:

მთელი წლისა გაგზავნით	5 მან.
ნახევარი	3 —
„მწყემსი“ რუსული გამოცემით:	
მთელი წლის გაგზავნით	6 მან.
ნახევარი	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით . . .	2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырь). ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—8)

Дозв. ценз. Тиф. 10 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე